ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №17

ქ. ქუთაისი 18 თებერვალი 2021 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის დავით წიტაიშვილის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412675396; ტელ: 0231 25-37-00) და მეორეს მხრივ ი/მ სოფიო კაპანაძე ს/ნ 60101169316 (შემდგომში მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ააიპ ,,ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ბალანსზე რიცხული ავტომობილის სახელმწიფო ნომერიIBG-778) (ჰეჩბექი) რეცხვა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვა .ავტომობილის რეცხვა-დასუფთავების ღირებულებაა 8(რვა) ლარი. (CPV კოდი 50112300 (შემდგომში მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 600(ექვსასი) ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დავით წიტაიშვილი.

5. მომსახურების გაწევის პირობები ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის 7გ . მომსახურეობა განხორციელდება 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ავტომობილის რეცხვა-დასუფთავება უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად (ცივი წყლით რეცხვა, ცხელი წყლით რეცხვა, დისკების გაწმენდა, შუსების სპეციალური ხსნარით გაწმენდა, სალონის დასუფთავება და ა.შ.).

5,3 მომსახურება მანქანაზე განახორციელოს ტალონური სისტემით, რომელზედაც დატანილის იქნება ავტომობილის სახელმწიფო ნომერი და მანქანის ტიპი. ტალონზე დასმული იქნება ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" ბეჭედი. მომსახურების გაწევის შემდეგ "მიმწოდებელი" ტალონზე უსვამს საკუთარ ბეჭედს (ან ხელმოწერას) და წარადგენს ააიპ "ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში)

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
ააიპ „ქ.ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“

მის.: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ#3
საიდენტიფიკაციო კოდი 412675396

ხაზინის ერთიანი ანგარიში

NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries
Digitally signed by NNLE Amalgamation of Kutaisi Public Nurseries
Date: 2021.02.25 14:52:35 +04'00'

მიმწოდებელი:
ი/მ სოფიო კაპანაძე

Sopio Kapanadze
Digitally signed by Sopio Kapanadze
Date: 2021.02.25 14:54:03 +04'00'

მის.: ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის 7გ
საიდენტიფიკაციო კოდი 60101169316
„თი ბი სი ბანკი“

ა/ა GE82TB7855845064300006

დოკუმენტი ხელმოწერილია ელექტრონულად
დირექტორი:
დავით წიტაიშვილი

დოკუმენტი ხელმოწერილია ელექტრონულად
ი/მ
სოფიო კაპანაძე